EU4Business

ევროკავშირი
საქართველოსთვის

საქართველო

2025

# შედეგების შეჯამება

www.eu4business.ge

# EU4Business

# მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების ხელშეწყობა საქართველოში

EU4Business ევროკავშირის ყოვლისმომცველი ინიციატივაა, რომელიც აერთიანებს ევროკავშირის აქტივობებს მცირე და საშუალო საწარმოების მხარდასაჭერად აღმოსავლეთ პარტიონორობის ქვეყნებში: სომხეთში, აზერბაიჯანში, საქართველოში, მოლდოვასა და უკრაინაში.

## პორტფოლიო საქართველოში 2025 წელს

**47-მა პროექტმა**
დაუჭირა მხარი მცირე და საშუალო მეწარმეებს

**€299.2 მილიონი**
ევროკავშირის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მთლიანი ბიუჯეტი




ფინანსებზე წვდომა (A2F) €182.7 მილიონი

ბიზნესის განვითარების სერვისები (BDS) €66.4 მილიონი

ბიზნესის ხელშემწყობი გარემო (BEE) €50.1 მილიონი

## შედეგები საქართველოში 2025 წელს

**39,255** მცირე და საშუალო ბიზნესმა მიიღო მხარდაჭერა

**35.8%** იყო ქალების მფლობელობაში არსებული/მართული საწარმოები

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ მცირე და საშუალო ბიზნესებში თანამშრომელთა ზრდა **25.5%** -ით.

↑ **9.8%** ზრდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ მცირე და საშუალო ბიზნესის ბრუნვაში

**1,403** ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი მცირე და საშუალო ბიზნესი ჩაერთო ექსპორტში

ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილ მცირე და საშუალო ბიზნესებში ექსპორტის ↑ **8.0%** -იანი ზრდა

შეიქმნა **37,134** ახალი სამუშაო ადგილი

**€268.1 მილიონი ევრო** ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ მიღებული დამატებითი შემოსავალი

# შედეგები საქართველოში 2025 წელს

## ფინანსებზე წვდომა (A2F)

- შეღავათიანი სესხები ადგილობრივი ბანკების საშუალებით
- მიკროდაფინანსება საოჯახო ბიზნესებისთვის
- მცირე გრანტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის
- ადგილობრივ ბანკებში თანამშრომელთა გადამზადება, რათა ისინი უკეთ მოემსახურონ მცირე და საშუალო საწარმოებს
- ფინანსური წიგნიერების ტრენინგები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

**19,559** მცირე და საშუალო ბიზნესმა მიიღო სესხები

**41.9%** ქალთა საკუთრებაში არსებული/მართული საწარმოების წილი

**€426.1** მილიონი — გაცემული სესხების მთლიანი ღირებულება

**21,784** სესხის საშუალო ოდენობა

**12** პარტნიორი ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც მუშაობენ EU4Business-თან

## ბიზნესის განვითარების სერვისები (BDS)

- მცირე და საშუალო საწარმოებისთვის პირდაპირი კონსულტაცია და ტრენინგები
- ტრენინგი და შესაძლებლობების განვითარება ბიზნესის მხარდამჭერი ადგილობრივი ორგანიზაციებისათვის (BSO)
- ბიზნეს-ინკუბატორების შექმნა სტარტაპებისთვის
- ბიზნეს-კლასტერების განვითარება ურთიერთმხარდაჭერისა და განვითარებისთვის
- მთავრობის მხარდაჭერა ახალი ბაზრების აღმოჩენის კუთხით
- ექსპორტის მხარდამჭერი ორგანიზაციების შესაძლებლობების განვითარება

**18,363** საკონსულტაციო მომსახურება მიეწოდა მცირე და საშუალო ბიზნესს

**27.4%** ქალთა საკუთრებაში არსებული/მართული საწარმოების წილი

**146** ბიზნესის მხარდამჭერმა ორგანიზაციამ გააუმჯობესა თავისი შესაძლებლობები

**157** მცირე და საშუალო ბიზნესმა მიიღო მონაწილეობა B2B შეხვედრებში

## ბიზნესის ხელშემწყობი გარემო (BEE)

- მარეგულირებელი რეფორმებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა
- გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და მარეგულირებლების შესაძლებლობების განვითარება
- საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის ხელშეწყობა
- საწარმოების ინფორმირება განხორციელებული რეფორმების და ახალი წესების/პროცედურების შესახებ

**131** რეფორმა კანონმდებლობის, პოლიტიკის და პროცედურების მიმართულებით

**206** საჯარო და კერძო დიალოგის ღონისძიება ქვეყანაში

**41-მა** სამთავრობო ინსტიტუტმა გააუმჯობესა შესაძლებლობები

# წარმატების ისტორიები

## ევროკავშირი ეხმარება ქართულ ჩაის ბრენდს დააკავშიროს ისტორია, სტუმართმოყვარეობა და ჯანსაღი ცხოვრება

ალექს შეწირულმა უცხოეთში სამედიცინო კარიერაზე უარი თქვა, რათა გურიაში თავისი ოჯახის ჩაის ტრადიცია აღედგინა და EU4Business-ის მხარდაჭერით ბრენდი „ტაბა“ დააფუძნა. ევროკავშირის გრანტით მათ ისტორიულ მამულში შექმნეს „ჩაის დარბაზი“, რომელიც დღეს აგროტურიზმის გამორჩეული ცენტრია, ხოლო ბიზნესი პროდუქციას 26 ქვეყანაში ექსპორტზე გზავნის. ტრადიციისა და გამაჯანსაღებელი პროდუქტების თანამედროვე ტენდენციების შერწყმით, „ტაბა“ ქართულ ჩაის კულტურას მსოფლიო ასპარეზზე ამკვიდრებს.

იხილეთ სრულად

## როგორ აცოცხლებს ევროკავშირის მხარდაჭერა საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელს

საზღვრისპირა სოფელ პერევში, ექიმმა ნანა კაპანაძემ საკუთარი სოფლისთვის პურის გამოცხობა დაიწყო. EU4Business-ის მხარდაჭერით მან პატარა საცხობი გახსნა, რომელიც დღეში 200–300 პურს აწარმოებს. ნანას ბიზნესი სოფელს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტით ამარაგებს. საცხობის გაფართოება ახალი სამუშაო ადგილების შექმნასაც ნიშნავს, რაც ამ გამყოფ ხაზთან მდებარე სოფელს სიცოცხლის შენარჩუნებაში ეხმარება.

იხილეთ სრულად

## ევროკავშირის დახმარებით ქართველმა ფერმერმა პატარა ნაკვეთი მოცვის ბიზნესად აქცია

გურიის სოფელ მელექედურში თეა ცხომელიძე ინოვაციურ მეურნეობას — მოცვის ბაღს უძღვება. მოსავლიანობის გასაზრდელად მან მცენარეების ქოთნებში მოყვანის თანამედროვე მეთოდი დანერგა. როდესაც პლანტაციის ხელით მორწყვა რთული გახდა, EU4Business-ის მხარდაჭერით, მეურნეობაში ავტომატიზებული სარწყავი სისტემა დაამონტაჟა. ამ სიახლემ თეას საშუალება მისცა მეურნეობა 3,000 ძირამდე გაეფართოებინა. ასევე მნიშვნელოვნად გაეუმჯობესებინა როგორც მუშაობის ეფექტურობა, ისე ნაყოფის ხარისხი.

იხილეთ სრულად

**გაიგეთ მეტი:**
**www.eu4business.ge**